

**სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვაკანტური
თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ შესარჩევ
კონკურსში მონაწილე კანდიდატის**

კონცეფცია და სამოქმედო გეგმა

***მაია ავალიანი
ინჟინერიის დოქტორი***

თბილისი

2021

სარჩევი

შესავალი.....	3
კონცეფცია.....	4
<i>კონსერვატორიის არსებული მდგომარეობის ანალიზი.....</i>	<i>5</i>
ადამიანური რესურსი	5
ფინანსური რესურსი	6
უძრავი ქონება	8
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	9
საინფორმაციო რესურსი.....	9
ძირითადი საშუალებები და მცირე ფასიანი ინვენტარი	10
საბიბლიოთეკო რესურსი	10
სამოქმედო გეგმა	11

შესავალი

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (შემდგომში - კონსერვატორია) არის ავტორიზებული, სამ საფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო, საშემსრულებლო, შემოქმედებით, სამეცნიერო, კვლევით, საკონცერტო და ფილარმონიულ საქმიანობას.

კონსერვატორიის მისიას კონკურენტული უმაღლესი აკადემიური სამუსიკო განათლების შეთავაზება და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად მუსიკოს-შემსრულებლების, კომპოზიტორებისა და მუსიკოლოგების მომზადება წარმოადგენს.

სტრუქტურაში არსებული სამუსიკო სემინარიის საშუალებით კონსერვატორია ახორციელებს უწყვეტი სამუსიკო განათლების შეთავაზებას.

სწავლებისა და კვლევის დიდი ტრადიციის მქონე, კურსდამთავრებულთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთაშორისო წარმატებებისა და საზოგადოების კულტურულ განვითარებაში შეტანილი წვლილი წარმოადგენს კონსერვატორიის ძლიერი მხარეების მცირედ ჩამონათვალს - დაფუძნებიდან 104 წლიანი მოღვაწეობის ფარგლებში.

ჩემი არჩევის შემთხვევაში, ვაანალიზებ რა პასუხისმგებლობას, კონსერვატორიის განვითარებაში წვლილის შეტანის შესაძლებლობა, როგორც საქართველოს პატრიოტისთვის, იქნება დიდი პატივი.

წარმოდგენილი კონცეფციის და სამოქმედო გეგმის მიზანია მიმდინარე კონკურსში ჩემი კანდიდატურის გამარჯვების შემთხვევაში, ხელი შევუწყო კონსერვატორიის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულებას, მის წინაშე მდგარი გამოწვევების დაძლევისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ფარგლებში, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეფექტურ მართვას.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია კონსერვატორიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, როგორც აღმასრულებელი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი, სამართლებრივად მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებლად შეიმუშაოს და განსაზღვროს კონსერვატორიის განვითარების პოლიტიკა, შესაბამისად ადასრულებს, წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დამტკიცებულ კონსერვატორიის სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმას.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, უფლება აქვს კონსერვატორიის ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული მართვის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით წინადადებებით მიმართოს კონსერვატორიის შესაბამის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, მიღებული თანხმობის შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებსა და სამართლებრივ აქტებში ასახვის შემთხვევაში, უზრუნველყოს საკითხების ინტეგრირება შემდგომ საქმიანობაში.

აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი კონცეფცია და სამოქმედო გეგმა ეყრდნობა კონსერვატორიის სტრატეგიული განვითარების მიზნებსა და სამოქმედო გეგმას.

კონცეფცია

კონცეფცია ეყრდნობა საქართველოს შრომის კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის“ კანონით, „ბიუჯეტის შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონებით, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდებით, სხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სამართლებრივი აქტებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ ადმინისტრაციის უფლებამოსილებებს.

კონცეფცია ეფუძნება გამჭირვალობის, ეფექტურობის და ანგარიშვალდებულების პრინციპებს, კონსერვატორიის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობის გზაზე.

ადმინისტრაციის, როგორც კონსერვატორიის სტრუქტურული ერთეულის, ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: პრობლემის იდენტიფიცირება, მონაწილეობის მიღება კონსერვატორიის საერთო სივრცის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, მართვის სისტემის ეფექტურობისა და შესრულების მონიტორის უზრუნველყოფა.

ადმინისტრაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონსერვატორიის განვითარების კუთხით წარმომადგენლობითი ორგანოებისა და კომპეტენციის ფარგლებში, სტუდენტური თვითმმართველობის ჩართულობას. ადმინისტრაცია, კონსერვატორიის სივრცეში უზრუნველყოფს: პერსონალისთვის შესაბამის სამუშაო გარემოს, სამეცნიერო, სამუზეუმო, პროექტული და კარიერული კუთხით განვითარების ხელშეწყობას; სტუდენტთა ანტიდისკრიმინაციულ სასწავლო გარემოს, უფლებების დაცვას, აქტივობებისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების მხარდაჭერას.

კონსერვატორიის არსებული მდგომარეობის ანალიზი

ანალიზი ეყრდნობა კონსერვატორიის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს; ყურადღებას ამახვილებს რესურსების სუსტ მხარეებსა და არსებულ საფრთხეებზე.

ადამიანური რესურსი - კონსერვატორიაში პერსონალის შერჩევა და სამსახურში მიღება ხდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების სრული დაცვით, მათი კომპეტენციისა და სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით.

კონსერვატორიის პერსონალი შედგება აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული (ან შტატგარეშედ მოწვეული) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისათვის აუცილებელი პირები, რომლებიც არ არიან აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის წარმომადგენლები.

კონსერვატორია პერსონალის შერჩევისას ორიენტირებულია პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური კადრის მოძიება/შენარჩუნებაზე. კონსერვატორიის

პერსონალის პროფესიული განვითარების სისტემის მიზანია ხელი შეუწყოს აკადემიური/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების ამაღლების გზით. ამ მიზნით, კონსერვატორია უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლისათვის განვითარების ხელმისაწვდომობასა და თანაბარ პირობებს.

კონსერვატორიის პერსონალის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება სამტატო ნუსხისა და შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობის მიხედვით. კონსერვატორიის სახელფასო სისტემა ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების შემდეგ მიდგომებს:

- ✓ ხელფასი - ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურება;
- ✓ ცვლადი ანაზღაურება - დატვირთვის მიხედვით დაანგარიშებული/გაცემული ანაზღაურება;
- ✓ კომბინირებული, რომელიც ითვალისწინებს როგორც ფიქსირებულ ხელფასს, ასევე დატვირთვის შესაბამისად დაანგარიშებულ ცვლად ანაზღაურებას.

აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებული პერსონალის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება ინდივიდუალურად, კონსერვატორიასა და პერსონალს შორის წინასწარი შეთანხმებისა და ხელშეკრულების პირობების თანახმად.

კონსერვატორიაში ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება კერძოდ, ის თანამდებობები, რომლებსაც სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ენიჭებათ კონკრეტული მიზნების მიღწევის პასუხისმგებლობა, ფასდებიან ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის, ინდიკატორების მიხედვით. სასურველია, ასევე გამოყენებულ იქნას უშუალო ხელმძღვანელის მხრიდან პერსონალის შეფასებაც, რომლის საშუალებითაც დგინდება თანამშრომლის მიერ წლის განმავლობაში გამოვლენილი სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო კომპეტენციები და მათი ხარისხი.

ფინანსური რესურსი - კონსერვატორიის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება. ასევე, დონორისგან მიღებულ გრანტს, სწავლის გადასახადს, კანონით

ნებადართული ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალს, რომელიც მოიცავს:

- ✓ დარბაზებით მომსახურების შედეგად მიღებულ შემოსავალს;
- ✓ ღონისძიებების დასწრების ბილეთების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს;
- ✓ ვიდეო/აუდიო ჩაწერის მომსახურების შედეგად მიღებულ შემოსავალს;
- ✓ სასადილოს მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებსა და სხვა შემოსავლებს.

წინა ხუთი წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, კონსერვატორიის კანონით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი, საშუალოდ მერყეობს 600 000 ლარიდან 800 000 ლარამდე. აღნიშნული თანხა გამოიყენება სტუდენტთა სტიპენდიების, სწავლისა და სწავლების, პერსონალის კარიერული განვითარების, სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებებისა და ზოგადად კონსერვატორიის ეფექტური და ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის შესაბამისად. პანდემიით გამოწვეული საფრთხეების აღმოფხვრისა და რეგულაციების გამკაცრების შედეგად, გასული და მიმდინარე წლის განმავლობაში კონსერვატორიის კანონით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი, საგანმანათლებლო საქმიანობის გარდა, შემცირდა დაახლოებით 88.12%.

რაც შეეხება, კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებას, კონსერვატორიის დამტკიცებული ბიუჯეტი 2016 წლიდან დღემდე ფაქტიურად არის უცვლელი და შეადგენს 4 250 000 ლარს. აქედან, პერსონალის შრომის ანაზღაურება მოიცავს 3 500 000 ლარს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს ეროვნული ვალუტის კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში წარმოადგენდა 2.12 ლარს, ლარის დევალვაციის შედეგად კი დღევანდელი კურსი შეადგენს 3.44 ლარს. ლარის შემსყიდველუნარიანობის დაქვეითება, საქონელისა და მომსახურების შესყიდვაზე ფასების მატება, საგრძნობლად ართულებს ისედაც მწირი ბიუჯეტის ფარგლებში, შესყიდვების გეგმებით დამტკიცებული ვალდებულებების სრულად და ეფექტიანად შესრულებას.

კონსერვატორია ეკონომიკურ საქმიანობას, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას, ფინანსურ ანგარიშგებას, სამეურნეო ოპერაციებს ახორციელებს საჯარო სექტორის

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) შესაბამისად, დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე.

სააღრიცხვო პოლიტიკის დანერგვა ემსახურება არა მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების სამსახურის, როგორც სტრუქტურული ერთეულის, ამოცანების, ფუნქციების, უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას, არამედ შიდა აღრიცხვის იმ წესების ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს კონსერვატორიის სამეურნეო ოპერაციების სამართლიან აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ასახვას.

უძრავი ქონება - კონსერვატორიის სასწავლო მიზნების განხორციელებისათვის სახელმწიფოსგან, სარგებლობის უფლებით, გადმოცემული აქვს **სამი შენობა** (ადგილმდებარეობა: თბილისი - ალ. გრიბოედოვის ქ. #8/10 - 7973მ²; გ.ჩუბინაშვილის #42 - 2543.7მ²; შ. ნუცუბიძის #181 - 3549.8მ²), რომელთაგან ორი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. ერთი მხრივ, შეუფასებელია და დიდი პატივია გქონდეს მოღვაწეობის საშუალება ასწლოვანი ტრადიციების მქონე შენობებში, მეორე მხრივ, კი ამ შენობის მომვლა-შენახვა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და დიდ ფინანსურ რესურს მოითხოვს. მესამე შენობაში (შ. ნუცუბიძის #181) განთავსებულია ორი ორგანიზაცია, კონსერვატორიის სარგებლობაში არის მხოლოდ ორი სართული, აქედან ერთი სართული სრულიად დანგრეულია და კაპიტალურ რემონტს საჭიროებს (საერთო ფართი ~1300მ²).

კონსერვატორიის შენობები:

- ✓ გათბობის ცენტრალური სისტემით არის უზრუნველყოფილი სამივე შენობა, რომელიც საჭიროებს სეზონურ მონიტორინგსა და მიმდინარე შეკეთებას;
- ✓ გაგრილების სისტემები შენობებში ფუნქციონირებს წერტილოვნად, რომელიც ასევე საჭიროებს სეზონურ მონიტორინგსა და მიმდინარე შეკეთებას;
- ✓ დიდ საკონცერტო დარბაზს არ აქვს ვენტილაციის სისტემა, რომელიც აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში;
- ✓ შენობები არ არის ადაპტირებული შშმ პირებისათვის;
- ✓ შრომის უსაფრთხოების კუთხით შენობებში აუცილებელია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების უზრუნველყოფა;

- ✓ შენობებს აქვთ საევაკუაციო გეგმები, გატარებულია ზოგადი უსაფრთხოების ზომების მოთხოვნები;
- ✓ დაცულია სანიტარული ნორმები, როგორც ზოგადი, ასევე პანდემიიდან გამომდინარე უმკაცრესი ზომები;
- ✓ შენობებში არის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის საშუალება, როგორც პერსონალის, ასევე მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის;
- ✓ სასწავლო პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია სათვალთვალო დაკამერების სისტემები;
- ✓ კონსერვატორიას, პერსონალისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვის მიზნით, შესაბამისი დონის ძიებების განსახორციელებლად, გამოყოფილი ჰყავს თანამშრომლები დაცვისა და მეხანძრე-დარაჯების სახით, რომლებიც დროულად და ეფექტურად რეაგირებენ წესრიგის დარღვევებზე, უზრუნველყოფენ დაწესებულების მატერიალური ფასეულობების დაცვას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე საუბრის დროს, პირველ რიგში აღსანიშნავია **მუსიკალური ინსტრუმენტების რესურსი**, რომელიც კონსერვატორიის ეფექტიანი ფუნქციონირების, სტრატეგიული განვითარების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. კონსერვატორიის მუსიკალური ინსტრუმენტების ბაზა მოიცავს როგორც კლავიშიან, ასევე სიმებიან, ჩასაბერ და დასარტყამ საკრავებს. მუსიკალური ინსტრუმენტების რესურსი საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლა-შენახვასა და პერიოდულ განახლებას. განსაკუთრებით კლავიშიანი მუსიკალური ინსტრუმენტების კუთხით, მატერიალური ბაზის განახლებას ესაჭიროება საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსი, რაც მოითხოვს სახელმწიფოს, კერძოდ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერას, ვინაიდან კონსერვატორიის საბიუჯეტო ასიგნებებისა და სახელმწიფოს მიერ ნებადართული შემოსავლების ხარჯზე მათი განახლება არის შეუძლებელი.

საინფორმაციო რესურსი - შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. კონსერვატორია უზრუნველყოფს საინფორმაციო პროცესების ეფექტურ განხორციელებას და პანდემიით გამოწვეული საფრთხეების დაძლევას;

კონსერვატორია უზრუნველყოფს სხვადასხვა სასწავლო, საბიბლიოთეკო და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემების მართვასა და პროგრამულ უზრუნველყოფას; მონაცემთა დაცვას; კონსერვატორიის სამივე შენობა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, ხელმისაწვდომია პერსონალისა და სტუდენტებისთვის. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებლობების ფარგლებში, მიმდინარეობს მოძველებული ტექნიკის ახლით ჩანაცვლების პროცესები. კონსერვატორიას აქვს განახლებული ვებ. გვერდი, რომელიც ფუნქციონირებს ქართულსა და ინგლისურ ენებზე.

ძირითადი საშუალებები და მცირე ფასიანი ინვენტარი - კონსერვატორიას აქვს საკმაოდ დიდი ქონება ძირითადი საშუალებებისა და მცირე ფასიანი ინვენტარის სახით. ახდენს აღნიშნული ქონების აღრიცხვიანობას, მოვლა-შენახვას სააღრიცხვო პოლიტიკისა და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. ფინანსური რესურსის სიმწირის გამო ხორციელდება მხოლოდ სასწავლო პროცესის მხარდაჭერისათვის აუცილებელი ძირითადი საშუალებისა თუ მცირე ფასიანი ინვენტარის შეძენა.

საბიბლიოთეკო რესურსი - კონსერვატორიის ბიბლიოთეკა წარმოადგენს ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს. ბიბლიოთეკა მოიცავს შემდეგ სივრცეებს: წიგნსაცავი, ნოტების საცავი, ფონოტეკა, სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცე, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცე, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე. ბიბლიოთეკას აქვს წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დამტკიცებული დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობისა და რესურსების შეძენა/განახლების წესი. კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამის ხელშეწყობის მიზნით ბიბლიოთეკას აქვს მუდმივად განახლებადი ელექტრონული ფონდი. ბიბლიოთეკის საქმიანობა ხორციელდება თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად.

სამოქმედო გეგმა

ჩემი, მიღებული განათლება, ადმინისტრირების სფეროში ოცწლიანი, მათ შორის უსდ-ს ავტორიზაციის ექსპერტად და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოზიციაზე მუშაობის შვიდწლიანი გამოცდილება, რომელიც მოიცავს ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება - დამტკიცებას, 18 000 000 ლარის საბიუჯეტო ასიგნებების მართვას, დაახლოებით 70 000მ² შენობების კაპიტალურ რემონტსა და მოვლა/შენახვას, ძირითადი საშუალებებითა და მცირე ფასიანი ინვენტარით სრულად აღჭურვას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ორი ვადის წარმატებით გავლას და სხვა, მაძლევს იმის საშუალებას პირდაპირ განვაცხადო, რომ შევძლებ წარმატებით გავართვა თავი დაკისრებულ უფლება-მოვალეობებსა და გამოწვევებს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელად არჩევის შემთხვევაში, მოცემული ვადის პერიოდში, ჩემი საქმედო გეგმის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კონსერვატორიის პოპულარიზაციის ხელშეწყობა მუდმივ რეჟიმში, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შრომის ანაზღაურებისა და სტიპენდიების მატება.

სამოქმედო გეგმის, კონსერვატორიის წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში, წარმომადგენლობით ორგანოებს წარედგინება ყოველწლიურად. ანგარიშში გათვალისწინებული იქნება როგორც ბიუჯეტის შესრულების ნაწილი, ასევე საანგარიშო წელს, ადმინისტრაციის ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ განხორციელებული საქმიანობა.

ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების სამსახურების ხელმძღვანელების მხრიდან, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგება - ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან - განხორციელდება ყოველთვიურად ან ყოველკვარტალურად, საჭიროებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე.

სამოქმედო გეგმის დასახული ამოცანების ძირითადი ნაწილის შესრულება, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოიცავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ოთხ წლიანი ვადის პერიოდში, ყოველწლიურად განსახორციელებელ დონისძიებებს.

ადმინისტრაციის მიერ, კომპეტენციის ფარგლებში, არსებული ფინანსური რესურსების, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობისა და სამოქმედო გეგმის დასახული ამოცანების შესრულება და მონიტორინგი განხორციელდება - ეფექტიანობის უზრუნველყოფის გზით.

ფორს-მაჟორული სიტუაციებიდან და მასთან გათანაბრებული გარე ფაქტორებიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმამ შესაძლოა განიცადოს არსებითი ცვლილებები, რომელზე ზემოქმედების ბერკეტი მმართველ რგოლს არ გააჩნია.

სამოქმედო გეგმა მოიცავს კონსერვატორიის ადმინისტრირებას - არსებული კარგი პრაქტიკის განვითარებასა და სიახლეების დანერგვას, კონსერვატორიის წესდების, სტრატეგიული განვითარების გეგმისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვას - გამჭირვალების, თანასწორობისა და გუნდური მუშაობის პრინციპების უზრუნველყოფის გზით.

#	სამოქმედო გეგმის განსახორციელებელი ამოცანები	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
1	პერსონალის მართვის პოლიტიკის დანერგვა				
2	პერსონალის მართვის ელექტრონული მოდულის დანერგვა				
3	პერსონალის მართვის პოლიტიკის შესრულება/მონიტორინგი				
4	ადმინისტრაციის პერსონალის შეფასების სისტემის დანერგვა				
5	ადმინისტრაციის პერსონალის შეფასების სისტემის შესრულება/მონიტორინგი				
6	კონსერვატორიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხარდაჭერა მათი ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიანად შესრულების მიზნით				
7	კონსერვატორიის მიზნების, სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მიზნით დასახული ამოცანების შესრულება/მონიტორინგი				
8	უსდ-ს ავტორიზაციის მოთხოვნების შესრულება/მონიტორინგი				
9	კონსერვატორიის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა				
10	სტუდენტთა სხვადასხვა აქტივობების მხარდაჭერა				
11	ინტერნაციონალიზაციის პროცესის მხარდაჭერა				
12	სწავლის საფასურის ელექტრონული ფორმით გადახდის პროგრამის დანერგვა				

13	კონსერვატორიის სამეცნიერო - პროექტული საქმიანობის მხარდამჭერი ღონისძიებები				
14	კონსერვატორიის საკონცერტო - ფილარმონიული საქმიანობის მხარდაჭერა				
15	დარბაზების აუდიო-ვიდეო სტაციონარული აპარატურით უზრუნველყოფა				
16	საქმისწარმოების ერთიანი პოლიტიკის დანერგვა				
17	საქმისწარმოების ერთიანი პოლიტიკის შესრულება/მონიტორინგი				
18	მომდევნო წლის კონსერვატორიის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება				
19	ბიუჯეტის შესრულებისა და ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა				
20	ადრიცხვიანობისა და სამეურნეო ოპერაციების წარმოება/მონიტორინგი				
21	სერვერის ფუნქციების გაძლიერება და მონაცემთა მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფა				
22	არსებული რესურსების ფარგლებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა - შენახვა, განახლება				
23	საბიბლიოთეკო რესურსების მოვლა-შენახვა-განახლება				
24	სამუზეუმო საქმიანობის ხელშეწყობა				
25	კონსერვატორიის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა და სხვა ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება/მონიტორინგი				
26	იურიდიული დოკუმენტების/საკითხების - შემუშავება / შესრულება/მონიტორინგი				
27	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა და ეკონომიკური საქმიანობის წყაროდ გამოყენება				
28	შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შესრულება / მონიტორინგი				